



**კურასიო**  
სამართაშორისო  
ფონდი

25 წელი უკეთესი ჯანდაცვის სისტემებისთვის

# COVID-19 ეპიდემია საქართველოში პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები


27 მარტი 2020

## მადლიერების გამოხატვა

დოკუმენტი მომზადებულია საერთაშორისო ფონდი კურაციის მიერ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთვის.

სამუშაო შესრულდა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციასთან არსებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და სისტემების კვლევის ალიანსის ფინანსური მხარდაჭერით. საერთაშორისო ფონდი კურაციო მადლობას უხდის ალიანსს პროექტის დაფინანსებისთვის, რომელიც მიზნად ისახავს ქვეყნის პოლიტიკური საჭიროებების საპასუხოდ საერთაშორისო მტკიცებულებების მიმოხილვას და პოლიტიკის ინფორმირებას.

დოკუმენტი მომზადებულია ქართულ და ინგლისურ ენებზე. დანართები წარმოდგენილია, მხოლოდ ინგლისურ ენაზე.



COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

**სარჩევი**

მადლიერების გამოხატვა..... 2

შესავალი..... 4

    COVID-19 ეპიდემია საქართველოში..... 4

    ეპიდემიის გავრცელების ტენდენციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ..... 5

    COVID-19 ეპიდემიის პროგნოზი საქართველოში ..... 6

    მტკიცებულებების საჭიროება - როგორ ვმართოთ ეპიდემია ეფექტურად?..... 8

ეპიდემიის ეფექტური მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებები და აქტივობები .. 9

    დაგეგმვა / კოორდინაცია ეროვნულ დონეზე ..... 9

    საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები ..... 9

    ჯანდაცვის სისტემის ღონისძიებები ..... 10

    ინფექციის პრევენცია და კონტროლი სამედიცინო დაწესებულებებში ..... 11

სინთეზი..... 14

    სწრაფი მოქმედებები ..... 15

    საფუძვლიანი გამოვლენა, მკაცრი კარანტინი და იზოლირება..... 16

    სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები ..... 18

    ეფექტური კომუნიკაცია..... 19

    ეკონომიკური პასუხი ..... 19

    ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნა ..... 20

    ეკონომიკური პრობლემები ..... 22

დისკუსია..... 23

დანართი 1. მეთოდოლოგია..... 29

დანართი 2 ქვეყნის გამოცდილებები ..... 31

    სამხრეთ კორეას გამოცდილება..... 31

    ჰონგ კონგის გამოცდილება ..... 36

    სინგაპურის გამოცდილება..... 39

    ტაივანის გამოცდილება..... 43

დანართი 3. გადაწყვეტილებები ველიდან..... 45

    ტრიაჟის ალგორითმი ჩინეთში ..... 45

    Covid-19-ის კრიტიკული მართვის პრობლემები და გადაწყვეტილებები..... 46

## შესავალი


### COVID-19 ეპიდემია საქართველოში

საქართველოში კორონავირუსის (COVID-19) პირველი შემთხვევა 2020 წლის 27 თებერვალს დაფიქსირდა. 27 მარტის მონაცემებით საქართველოში 81 შემთხვევაა დასტურებული. შემთხვევების დინამიკა იხილეთ გრაფიკი 1-ზე.

კორონავირუსის პირველი შემთხვევის იდენტიფიცირებიდან 3 კვირის თავზე ვირუსის გავრცელების

ეპიდემიოლოგიური სურათი ცხადად მიუთითებს ქვეყნის მიერ გატარებულ ღროულ და პროგრესულ ღონისძიებებზე, რომლებიც მოიცავს ვირუსის გავრცელების მაღალი მაჩვენებლის მქონე ქვეყნებიდან საქართველოში ჩამომსვლელ პირთა სკრინინგს, ტესტირებას, კონტაქტების მოძიებას, კარანტინისა და თვით-იზოლაციის წესების შემოღებას, საერთაშორისო ფრენების შეჩერების გადაწყვეტილებას, საგანმანათლებლო დაწესებულებების დახურვას, დასაქმებულებისთვის ონლან სამუშაო გრაფიკზე გადასვლის მონოღებას, მასობრივი თავშეყრის შეზღუდვებს, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ნაწილობრივ შეზღუდვას, ეპიდემიოლოგიის ღონისძიებების, მ.შ ახალი პროტოკოლების შემუშავება-დამტკიცებას, საზოგადოებასთან აქტიურ კომუნიკაციას და .აშ.

გრაფიკი 1. COVID-19 შემთხვევების დინამიკა 2020 წლის 27 მარტის მდგომარეობით



**საქართველო, 27 მარტი 2020**

- ახალი შესაძლო შემთხვევა 83
- დადასტურებული შემთხვევა 81
- გამოჯანმრთელდა 13
- საავადმყოფოში წევს 247 პაციენტი
- საკარანტინო ზონაშია 4505 ადამიანი

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კლასიფიკაციის მიხედვით ამჟამად საქართველო ეპიდემიის გავრცელების „კლასტერულ“ ფაზაში იმყოფება

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

(ეპიდემიის მე-3 სცენარი), რომელიც შემთხვევების კლასტერული გადაცემით ხასიათდება (WHO, 2020b). ეპიდემიის მომდევნო საფეხური „მასობრივი გავრცელება“, რომლის დროსაც გადაცემის ჯაჭვის იდენტიფიკაცია შეუძლებელი ხდება.


**ეპიდემიის გავრცელების ტენდენციები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში**

**რამდენი დღე სჭირდებათ ქვეყნებს ეპიდემიის მასობრივი გავრცელების საფეხურზე გადასასვლელად?** კითხვაზე პასუხი განსხვავებულია ქვეყნების მიხედვით მათ მიერ ეპიდემიის საპასუხოდ გატარებული ღონისძიებების შესაბამისად. ევროპის ქვეყნებს და ამერიკას პირველი 100 დადასტურებული შემთხვევის გამოსავლენად 11-დან 37 დღემდე დასჭირდათ.

თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ქვეყნებს, რომლებიც პასიური საპასუხო აქტივობებით გამოირჩეოდა (იტალია, საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, შვეიცარია, ესპანეთი, ავსტრია, აშშ) პირველი 100 შემთხვევის შემდეგ 500 შემთხვევა 3-4 დღეში დაუდგა. მიუხედავად იმისა, რომ გრაფიკზე გერმანია, დიდი ბრიტანეთი და შვეიცარია შედარებით დაბალ მრუდს აჩვენებს, ყველა ამ ქვეყანას COVID-19-ის ახალი შემთხვევების ყოველდღიური 23-31% ზრდა აქვს. (ECDC, 2020c)

ესტონეთში ეპიდემიის ზრდა 11% ზრდით მიდის, ლატვიაში 12%-ით, ხოლო ლიეტუვაში, სადაც შემთხვევათა რა-ბა 5 დღის წინ გადაცდა 100-ს, 19%-იანი ზრდა აღინიშნება. შედარების დროს, რა თქმა უნდა გასათვალისწინებელია ქვეყნის ზომა და მოსახლეობის სიმჭიდროვე.


გრაფიკი 2. COVID-19 შემთხვევების მატების დინამიკა (იტალია, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ესპანეთი, შვეიცარია, ავსტრია და აშშ)



## COVID-19 ეპიდემია საქართველოში პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

აზიის ქვეყნები, რომლებმაც ეპიდემიასთან ბრძოლის მკაცრი და დროული ღონისძიებები გაატარეს, როგორცაა სამხრეთ კორეა, ჰონგ კონგი, სინგაპური, და ტაივანი პირველი 100 შემთხვევა დაუდგათ 20, 36, 36 და 66 დღის შემდეგ, შესაბამისად. რაც შეეხება დაინფიცირებული შემთხვევების 500-მდე გაზრდას სამხრეთ კორეამ ამ ნიშნულს 100 შემთხვევიდან 2 დღეში მიაღწია, სინგაპურსა და ჰონგ კონგს ინფიცირებულთა რაოდენობის გაორმაგებისთვის 14 დღე დასჭირდა. ტაივანმა კი 100 შემთხვევას გადააჭარბა სულ ახლახან - 66-ე დღეს (ECDC, 2020c). სამხრეთ კორეაში ეპიდემიის სწრაფი მატება უკავშირდება ეპიდემიის დასაწყისში ეპიდაფეთქების შემდეგ ჩატარებულ ინტენსიურ კონტაქტების კვლევას და მასშტაბურ ტესტირებას, რის გამოც გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა, სავარაუდოდ მაქსიმალურად უახლოვდება ინფექციის რეალურ გავრცელებას (Our World Data, 2020).

გრაფიკი 3. COVID-19 შემთხვევების მატების დინამიკა აზიის ზოგიერთ ქვეყანაში



ზემოხსენებულ ქვეყნებში ეპიდემიის ზრდის ტემპის მახასიათებლების გათვალისწინებით შეგვიძლია ვივარაუდოთ საქართველოში COVID-19-ის გავრცელების ტემპი ევროპა/აშშ და აზიის ქვეყნების საშუალო მაჩვენებლებს შორის არის. ამ დაშვებით ასევე სავარაუდოა, რომ პირველი 100 შემთხვევის გამოვლენა საქართველოში ეპიდემიის დაწყებიდან 30-35 დღეზე მოხდება.

### COVID-19 ეპიდემიის პროგნოზი საქართველოში

COVID-19 ეპიდემიისთვის ჯანდაცვის სისტემის მზაობის შესაფასებლად საერთაშორისო ფონდმა კურაციომ გააკეთა მოდელირების სავარჯიშო, რომლისთვისაც გამოიყენა ორი სხვადასხვა ინსტრუმენტი:


COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
 პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

1. **COVID-19 Hospital Impact Model for Epidemics**, რომელიც შემუშავებულია პენსილვანიის Penn Medicine Predictive Healthcare Team-ის მიერ სპეციალურად ამ ეპიდემიისთვის <https://penn-chime.phl.io/>
2. **FluSurge2.0**, რომელიც ამერიკის დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ პანდემიური გრიპის პროგნოზისთვის შეიქმნა <https://www.cdc.gov/flu/pandemic-resources/tools/flusurge.ht>

პირველი მოდელი (**COVID-19 Hospital Impact Model for Epidemics**) ეფუძნება რამდენიმე დაშვებას, რომელიც კორონავირუსის ჰოსპიტალიზებული შემთხვევების მართვის მახასიათებლებს უკავშირდება და საშუალებას იძლევა განისაზღვროს „სოციალური დისტანცირების“ სხვადასხვა დონის გავლენა ვირუსით გამოწვეული ჰოსპიტალიზაციის დონეზე. ხოლო მეორე მოდელი პანდემიური გრიპის შესაფასებლად გამოიყენება და არ არის მოგებული COVID-19-ის ეპიდემიოლოგიურ მახასიათებლებზე.

ქვემოთ წარმოგიდგინთ ორივე მოდელის მიხედვით მიღებული შედეგების შედარებას (იხილეთ გრაფიკი 4). გათვლები ჩატარებულია 2020 წლის 19 მარტს.

გრაფიკი 4 ჰოსპიტალიზაციის შედარება სხვადასხვა მოდელის გამოყენებით



COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

**პროგნოზირების საფუძველზე მიღებული ძირითადი დასკვნები**

- სოციალური დისტანცირება უმნიშვნელოვანესია ეპიდემიის შესაკავებლად (Anderson, Heesterbeek, Klinkenberg, & Hollingsworth, 2020);
- სოციალური დისტანცირების გარეშე ეპიდემიის პიკი სწრაფად მიიღწევა და პიკურ კვირაში ახალი ჰოსპიტალური შემთხვევების რაოდენობა 5,950-ი იქნება, რასაც ქვეყნის ჯანდაცვის სიტემა ვერ გაუძლებს.
- სოციალური დისტანცირების ღონისძიებების გამოყენება, რომლებიც 10% ით ამცირებს კონტაქტების რაოდენობას, ეპიდემიის მიმდინარეობას ახანგრძლივებს, ეპიდემიის პიკი მიიღწევა მე-14 კვირას და ახალი ჰოსპიტალიზებული პაციენტების რაოდენობა 4,174-მდე მცირდება;
- 20%-ით კონტაქტების რაოდენობის შემცირებით ეპიდემია პიკს მიაღწევს მე-17 კვირას, და ახალი ჰოსპიტალიზაციის შემთხვევები 2,656-მდე შემცირდება, რაც კიდევ უფრო ამცირებს ტვირთს ჰოსპიტალურ სექტორზე
- 30%-ით კონტაქტების რაოდენობის შემცირებით ეპიდემიის პიკის მიღწევა შესაძლებელია 22-ე კვირას და ჰოსპიტალიზაციის შემთხვევების რაოდენობის შემცირება 1,418-მდე.
- COVID-19 Hospital Impact მოდლით მიღებული გათვლები მნიშვნელოვნად აღემატება FluSurge 2.0-ით მიღებულ შედეგებს 12-კვირიანი ეპიდემიისთვის.
- ამ გათვლების გამოყენებისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნას, რომ ისინი მრავალ დაშვებას ეფუძნება.

**მტკიცებულებების საჭიროება - როგორ ვმართოთ ეპიდემია ეფექტურად?**

ვინაიდან ეპიდემიის გამომწვევი უცნობია მსოფლიოსთვის, მნიშვნელოვანია ისეთი ქვეყნების გამოცდილება, რომელთაც წარმატებული ნაბიჯები გადადგეს და გადააზადეს ეპიდემიის პიკი.

სადღეისოდ ასეთი ქვეყნებია სინგაპური, ჰონგ კონგი, სამხრეთ კორეა და ტაივანი. მოძიებული მტკიცებულებების სინთეზის საფუძველზე, რომელიც ქვემოთ არის მოცემული, წარმოგიდგინთ შემოთავაზებებს, რაც საქართველოს ეპიდემიის ეფექტურად მართვაში დაეხმარება.

მტკიცებულებების შეჯამების საფუძველზე ჩვენ წარმოგიდგინთ ეპიდემიის ეფექტური მართვის ღონისძიებებს. მტკიცებულებების ნაკრები გაზიარებულ იქნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და პრემიერ მინისტრის ოფისისთვის 2020 წლის 23 მარტს.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ ინფორმაცია ყოველდღიურად განახლებადია და შესაბამისად მტკიცებულებებიც თანდათან გროვდება. შესაბამისად სხვა ქვეყნების გამოცდილების მუდმივი მონიტორინგი ალბათ სასარგებლო იქნება.



## ეპიდემიის ეფექტური მართვისთვის გასატარებელი ღონისძიებები და აქტივობები

### დაგეგმვა / კოორდინაცია ეროვნულ დონეზე

- ეპიდემიის სურათის შესაბამისად სამედიცინო სერვისების სიმძვლავრების (უკვე გამოთავისუფლებული ან გამოსათავისუფლებელი ზოგადი და კრიტიკული/ რენიმაციული საწოლების, ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატების) დაზუსტების და სისტემის მოსალოდნელი დატვირთვის შედარებითი ანალიზის საფუძველზე **სამოქმედო გეგმის შემუშავება და მუდმივი განახლება** (Bicker, 2020; ECDC, 2020b; Legido-Quigley et al., 2020; Remuzzi & Remuzzi, 2020; WHO, 2020b);
- ერთის მხრივ, **საკარანტინო პუნქტების გაძლიერება** ქვეყნის საზღვრებზე ახალი შემთხვევების იმპორტირების აცილების მიზნით და, მეორეს მხრივ, შიდა გადაცემის შემცირება **სოციალური დისტანცირებით, რაც** საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სხვა ღონისძიებებთან ერთად მნიშვნელოვანია ეპიდემიის ზრდის ტემპის შესანელებლად (Ferguson et al., 2020). მიუხედავად იმისა, რომ ამ მეთოდების ხანგრძლივად გამოყენება რთულია და ახლავს ეკონომიკური გამოწვევები, იგი კრიტიკულად მნიშვნელოვანია **ჯანდაცვის სისტემის გადატვირთვის თავიდან ასაცილებლად**. ამასთან ერთად მნიშვნელოვანია მისი მუდმივი მონიტორინგი (Anderson et al., 2020; Barron, 2020; Cowling & Lim, 2020; Ferguson et al., 2020; Wang, Ng, & Brook, 2020; WHO, 2020d; Wong, Leo, & Tan, 2020);
- სოციალური დისტანცირების ეფექტურობიდან გამომდინარე რთულია იმის პროგნოზირება თუ რა ვადით მოხდება ეპიდემიის პიკის გადავადება და პიკის შემცირება. ამიტომ მიზანშეწონილია **ჯანდაცვის სისტემის მზადება უფრო პესიმისტური სცენარით** დაიგეგმოს (მრუდი - კონტაქტების 10% შემცირება) (Ferguson et al., 2020)
- გაგრძელდეს მუდმივი, გამჭვირვალე და კოორდინირებული **კომუნიკაცია მოსახლეობასთან** (WHO, 2020b, WHO, 2020d; Barron, 2020;)

### საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებები

- **კონტაქტების მოიძიების და იზოლაციის გაგრძელება** ეპიდემიის მიმდინარე ეტაპზე, რაც ხელს შეუწყობს ეპიდემიის მასშტაბის შემცირებას (Anderson et al., 2020; Hellewell et al., 2020; Shim, Tariq, Choi, Lee, & Chowell, 2020);
- **თვითიზოლაციის და კარანტინის მონიტორინგის გაუმჯობესება** ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით, მაგ. ელექტრო სამაჯურების გამოყენება, რომლებიც ადამიანების გადაადგილების ინფორმაციას დროის რეალურ რეჟიმში იძლევა (Hellewell et al., 2020; Saiidi, 2020);

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

- საკომუნიკაციო მესიჯების ჩამოყალიბება და სხვადასხვა საკომუნიკაციო წყაროს გამოყენება (მ.შ. სოციალური მედია) **სწორი, შეთანხმებული საკომუნიკაციო კამპანიისთვის. სოციალური მედიის როლი** განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხანგრძლივი ფართომასშტაბიანი შემაკავებელი ღონისძიებების დროს, მოთხოვნებისადმი დამყოლობის ხელშესაწყობად და ცრუ ინფორმაციის, მოლოდინების თავიდან ასაცილებლად (Barron, 2020; WHO, 2020b);
- სწრაფი ტესტირების კონკრეტული მიზნების განსაზღვრა, ალგორითმის შემუშავება და დანერგვა სამედიცინო დანერგულებებში კერძო სექტორის მონაწილეობით (Chadwick, 2020; FDA, 2020; Kwon, Ko, Shin, Sung, & Kim, 2020; WHO, 2020d);
- რესურსების გათვალისწინებით კონცენტრირება მაღალპრიორიტეტულ აქტივობებზე, მ.შ კონფირმატორული ტესტების რაციონალური მოხმარება (ECDC, 2020b)

### ჯანდაცვის სისტემის ღონისძიებები

- **ჰოსპიტლების დაყოფა** სხვადასხვა სიმძიმის პაციენტების მართვისთვის (ECDC, 2020b);
- **პაციენტების ტრიაჟი** დანერგულებებში მიმართვიანობის მაქსიმალურად შემცირების მიზნით (Cao et al., 2020; Parodi, Jewkes, Cha, & Park, n.d.);
- ტრიაჟის ალგორითმის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს COVID-19-ით ავადობის რისკს და მისი არსებობის შემთხვევაში (მსუბუქი შემთხვევის ჩათვლით) მიმართავს პაციენტს შესაბამის დანერგულებაში (Bicker, 2020; Cao et al., 2020)
  - ბინაზე მოვლის პროტოკოლის შემუშავება, რაც მნიშვნელოვანია პაციენტის ბინაზე დაყოვნებისას იქნას გათვალისწინებული, დაავადების ბინაზე გავრცელების პრევენციისთვის
  - ცხელი ხაზის, 112-ის, ოჯახის ექიმები და სოფლის ექიმების აღჭურვა ტრიაჟის ალგორითმით და ბინაზე მოვლის პროტოკოლით
  - ოჯახის ექიმების **ვირტუალური კონსულტაციების** ორგანიზება კერძო სექტორის აქტიური მონაწილეობით, რაც შესაძლებელი იქნება ქალაქებში ამ ეტაპზე. კონსულტაციები უნდა ეფუძნებოდეს COVID-19 ინფექციის გამოვლენის და ტრიაჟის დადგენილ ალგორითმს
  - საკომუნიკაციო მესიჯებში სამედიცინო სერვისებში მიმართვიანობის წესის გახმოვანება. სატელეფონო ტექსტური მესიჯების გამოყენება ამ მიზნებისთვის
- COVID-19 **კლინიკური მართვის გაიდლაინის** შემუშავება/დამტკიცება უახლესი რეკომენდაციების შესაბამისად (CDC, 2020; WHO, 2020a)
- **საკარანტინე ადგილებად გამოყენებული სამედიცინო დანერგულებების ჩანაცვლება** ალტერნატიული არასამედიცინო დანერგულებებით, სადაც

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

განთავსდებიან ახლო კონტაქტები, ხოლო ამ სამედიცინო დანესებულებების მომზადება მსუბუქი პაციენტების განსათავსებლად, რათა შემცირდეს მსუბუქი პაციენტებისგან ინფექციის გავრცელება ოჯახის წევრებში (ECDC, 2020b; WHO, 2020f)

- ზედამხედველობის გაფართოება ატიპური პნევმონიის შემთხვევებზე COVID-19-ის გამოსავლენად ქვეყნის მასშტაბით პირველადი ჯანდაცვის და ჰოსპიტალურ სექტორში, საყრდენ სადგურებში ეპიდემიოლოგიის გავრცელება COVID-19-ზე (WHO, 2020f)
- ჯანდაცვის პროგრამებით ბენეფიციარებისთვის სერვისის მიწოდების გადწეობა მოსახლეობის გარკვეული ჯგუფებისთვის უსაფრთხოების და სერვისების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად (მაგ. იმუნიზაცია, ტუბერკულოზის, ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების სუბსიდირების და სხვა პროგრამები)

**ინფექციის პრევენცია და კონტროლი სამედიცინო დანესებულებებში**

- დანესებულებების (მათ შორის იმ ჰოსპიტლების, რომლებიც არ მონაწილეობენ COVID-19 ის მართვაში, და პირველადი ჯანდაცვის მომსახურების მიმწოდებლების) მიერ მზადყოფნის გეგმების შემუშავება, რომელიც უნდა მოიცავდეს ქვემოჩამოთვლილს (Liu, Li, & Feng, 2020)
- დანესებულებაში პაციენტის ტრიაჟის ალგორითმის განხორციელება (მაგ. ჩინეთის ალგორითმი (დანართი 3) უსაფრთხოების პრინციპების დაცვით (CDC, 2020; WHO, 2020c)
- დანესებულებების მიერ პერსონალის (ექიმები, უმცროსი ექიმები, ექთნები, სანიტრები) მუშაობის სახელობითი გეგმის შემუშავება შემდეგი პრინციპების დაცვით (Liew, Siow, Maclaren, & See, 2020) **იხილეთ Error! Reference source not found..**
  - კორონავირუსის მართვისთვის გამოყოფილ დანესებულებებში უპირატესად ინფიცირების მაღალი რისკის განყოფილებებში (ემერჯენსი, კრიტიკული თერაპია) და შეძლებისდაგვარად თერაპიულ განყოფილებებში პერსონალის დანესებულებაში დაყოვნების და ბინაზე ყოფნის 14/14 დღიანი გრაფიკის შემუშავება (14 დღე ჰოსპიტალში მორიგეობა/დასვენების მონაცვლეობა, შემდეგ 14 დღე ბინაზე დაყოვნება თვითიზოლაციის დაცვით (ტემპერატურის კონტროლი და ა.შ.). ასეთი გრაფიკისთვის შესაბამისი დანესებულებაში ინფრასტრუქტურის და საკვებით მომარაგების უზრუნველყოფა
  - პერსონალის მორიგეობის ჩანაცვლების გეგმის შემუშავება პერსონალის გაცდენის შემთხვევაში
  - პერსონალის დანესებულებაში დაშვების კრიტერიუმების შემუშავება
  - დამატებითი პერსონალის მობილიზების გეგმის შემუშავება საათებით და გვარ-სახელებით.
- პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

- პერსონალური დაცვის საშუალებებით მომარაგება და სწავლების ჩატარება უახლესი რეკომენდაციების შესაბამისად (CDC, 2020; ECDC, 2020a; WHO, 2020c) უპირველეს ყოვლისა COVID-19 მართვისთვის გამოყოფილი დაწესებულებებისთვის, მაგრამ ასევე სხვა მსხვილი ჰოსპიტლებისთვის
- დაწესებულებებში შესაბამისი სივრცეების გამოყოფა სადაც მოხდება პერსონალური დაცვის საშუალებების ჩაცმა და გახდა.
- ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით მაღალი რისკის პერსონალისთვის (ქრონიკული დაავადებები, ასაკოვანი ჯგუფი) შეღავათების დაწესება (შვებულება, ნაკლებად სარისკო განყოფილებაში გადაყვანა, ა.შ.)
- აეროზოლ გენერირებადი პროცედურების ჩატარება უსაფრთხოების დაცვის პრინციპების გათვალისწინებით (CDC, 2020; Cheng et al., 2020; WHO, 2020a)
  - მაგ. არაინვაზიური ვენტილაციის და მაღალი წნევით ნაზალური კანულის ოქსიგენაციისგან თავის შეკავება უარყოფით წნევიანი პალატების არ არსებობის პირობებში
  - მაგ. ინტუბაციის, სანაციის ჩატარება მაღალი სიფრთხილით, პერსონალის დიფერენცირება ამგვარი პროცედურების ჩატარებისას



# მტკიცებულებების სინთეზი

## სინთეზი

ოთხივე ქვეყნის ჰონგ კონგი, სინგაპური, ტაივანი და სამხრეთ კორეა განსაკუთრებით მონყვლადი იყო COVID-19- ის გამო, რადგან ისინი ახლოსაა და ახლო კავშირები აქვთ ჩინეთთან, სადაც დაიწყო გლობალური ეპიდემია. წინა ეპიდემიების (2003 წლის SARS და 2009 წლის პანდემიური გრიპისგან) მიღებული გამოცდილების გამო, ქვეყნები კარგად იყვნენ მომზადებული რეაგირებისთვის ადრეულ ჩარევებზე.

ჰონგ კონგმა დაანერგა ძალიან მკაცრი ზომები და შემოიღო სოციალური დისტანცირება, კონტაქტების ადრეული კარანტინიზაციით, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეაგირების სხვა ქმედები. დაიხურა სკოლები და სამუშაო ადგილები, დაიწყო ინტენსიური ტესტირება. ქვეყანამ გამოიყენა ინოვაციური ტექნოლოგიები კონტაქტების მოძიებაში კერძოდ, ელექტრონული სამაჯურების გამოყენება.

ტაივანის წარმატებები ეპიდემიის კონტროლში უპირატესად გამოწვეული იყო სოციალური დისტანცირებით. ტაივანმა შეაჩერა ფრენები თუმცა უფრო მოგვიანებით ვიდრე დანარჩენმა სამმა ქვეყანამ მაგრამ ადრეულად დაიწყო სოციალური დისტანცირების აქტივობები (სკოლის დახურვა, ბინაზე კარანტინის ჩათვლით) სააღსრულებო ზომებით.

სამხრეთ კორეამ განსხვავებული მიდგომა გამოიყენა. რამდენიმე კლასტერიდან ინფექციის ადგილობრივი ფართოდ გავრცელების საპასუხოდ, ქვეყანამ დაიწყო აქტიური კონტაქტის ძიება, ინფიცირებული პირების ადრეული იდენტიფიცირება და მათი იზოლაცია. სამხრეთ კორეა ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელმაც დაიწყო მასობრივი ტესტირება ეპიდემიის დონის დასადგენად. სხვა ზომებში შედის საზღვრის ჩაკეტვა, სოციალური დისტანცირების ქმედებები, როგორცაა სკოლა და სამუშაო ადგილები დახურვა და მასობრივი შეკრებების გაუქმება. ღონისძიებები ადმინისტრაციული ჯარით იქნა აღსრულებული.

სინგაპურმა გაატარა მრავალმხრივი ზომები COVID-19 ეპიდემიის შესაკავებლად. სასაზღვრო კონტროლისა და საზოგადოების განათლებისა ზომებთან ერთად, ქვეყანამ განახორციელა ზედამხედველობა მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში, პაციენტების იზოლაცია, კონტაქტების კარანტინი და აქტიური მონიტორინგი. შეთხვევთა მცირე რაოდენობამ შესაძლებელი გახდა ქმედებები ინდივიდუალურ დონეზე ჩატარებულიყო, რაც ეფექტური იყო ეპიდემიის გავრცელების შეჩერებაში (Ng et al., 2020).

ქვემოთ (ცხრილი 1) მოცემულია სამხრეთ კორეის, ჰონგ კონგის, სინგაპურისა და ტაივანის მიერ გატარებული ზომების COVID-19- ის ეპიდემიის საპასუხოდ. ღონისძიებების შეჯამება ქვემოთ მოცემულია, ხოლო დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

ცხრილი 1 ინტერვენციები ქვეყნების მიხედვით

ინტერვენცია	ქვეყანა	სამხრეთ კორეა	ჰონგ-კონგი	სინგაპური	ტაივანი
	მოკლე აღწერა				
სწრაფი რეაგირების მექანიზმი	ეროვნული კოორდინაცია	+	+	+	+
	საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება	+	+	-	-
რისკების კომუნიკაცია & საზოგადოების ჩართულობა	ეფექტური კომუნიკაცია	+	+	+	+
შემთხვევების მოძიება, კონტაქტების მიღწევა და მართვა	შემთხვევების აქტიური მოძიება, კონტაქტების მიღწევა & მონიტორინგი	+	+	+	+
	მობილური აპლიკაციების გამოყენება კავშირების დასადგენად	+	-	-	-
	კარანტინი და იზოლაცია	+	+	+	+
	მოგზაურობის შეზღუდვა	+	+	+	+
ზედამხედველობა	ზედამხედველობის სისტემები	+	+	+	+
	ინტენსიური ტესტირება	+	+	+	+
	მასობრივი ტესტირება მანქანებში ადგილზე მომსახურების ცენტრების გამოყენებით	+	-	-	-
სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება	სკოლების დახურვა	+	+	-	+
	სამუშაო ადგილების დახურვა	+	+	-	+
	საზოგადოებრივი ყრილობის შეზღუდვა >250	+	+	+	+ არ არის აკრძალული, თუმცა არც ნახალისებულია
შემთხვევების მართვა	ჰოსპიტლების მზაობა მაღალი დატვირთვის პირობებში სამუშაოდ, ტრიაჟის პროცედურები	+	+	+	+
ინფექციის პრევენცია & კონტროლი	პერსონალის ტრენინგი პერსონალური დაცვის საშუალებების გამოყენებასა და შემთხვევების კლინიკურ მენეჯმენტში	+	+	+	+
ჯანდაცვის სისტემის მზაობა	ეპიდემიების წარსული გამოცდილების საფუძველზე სისტემის მზაობა	+	+	+	+

**სწრაფი ქმედებები**

→ სინგაპური, ტაივანი, ჰონგ-კონგი და სამხრეთ კორეა კარგად იყვნენ მომზადებულნი Covid-19-ის ეპიდემიისათვის, რაც ამ ქვეყნების მიერ 2003 წელს SARS-ის ეპიდემიის დროს მიღებულ გამოცდილებას უკავშირდება.

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

ოთხივე ქვეყნის მთავრობებმა იმოქმედეს პროაქტიურად და სწრაფად გადავიდნენ გაძლიერებული მზადყოფნის ეტაპზე. სახელმწიფოებრივ დონეზე რეაგირება იყო კარგად კოორდინირებული და მართული სამთავრობო სტრუქტურების, საჯარო და კერძო ორგანიზაციებისა და მოსახლეობის დონეზე.

- ქალაქ უჰანში (ჩინეთი) უცნობი ვირუსის გამოვლენის შესახებ ცნობების გავრცელების კვალდაკვალ ქვეყნებმა აამოქმედეს ეპიდემიისადმი მზადყოფნის გეგმები და სწრაფად გაატარეს უარყოფითი ზეგავლენის შემარბილებელი ზომები.

### საუქვლიანი გამოვლენა, მკაცრი კარანტინი და იზოლირება

- ჰონგ-კონგმა, ტაივანმა და სინგაპურმა პროაქტიულად შემოიღეს მგზავრობის შეზღუდვები მატერიკული ჩინეთიდან ჩამომსვლელი პირებისათვის, რაც ენინაალმდეგებოდა ჯანმო-ს მყარ რეკომენდაციას, რომ საერთაშორისო მიმოსვლაზე აკრძალვების დანესება აუცილებლობას არ წარმოადგენდა (Barron, 2020).
- სინგაპური იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც შეაჩერა რეისები უჰანიდან. ქვეყანაში დაბრუნებულ მოქალაქეებს უშვებდნენ 14 დღიან იძულებით შვებულებაში. დადასტურებულ შემთხვევებში ხდებოდა ყველა ეპიდემიოლოგიური კონტაქტის იდენტიფიცირება მათი საგულდაგულო მოკვლევის მეშვეობით (სამართალდამცავი ძალების მონაწილეობით) და ახლო კონტაქტების სავალდებულო კარანტინში მოთავსება. შემოღებულ იქნა მასობრივი ტემპერატურული სკრინინგი ოფისების, სკოლების, სასტუმროების, საზოგადოებრივი ცენტრებისა და საკულტო ადგილების შესასვლელებში (Barron, 2020; Niehus, Salazar, Taylor, & Lipsitch, 2020; Wong et al., 2020). საკარანტინო წესების დარღვევისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა 7,300 აშშ დოლარის ოდენობამდე.
- ჰონგ-კონგმა სწრაფად მოახდინა საკუთარ ტერიტორიაზე თითოეული ინფიცირებული პირის გამოვლენისათვის საჭირო სისტემების გამართვა. შეიქმნა დიაგნოსტიკური ტესტები, რომლებიც სწრაფად დაინერგა ქალაქის ყველა მსხვილ საავადმყოფოში. მოხდა დასასვენებელი ბანაკებისა და ახლად აშენებული, ჯერ კიდევ თავისუფალი სახელმწიფო საბინაო ფონდის საკარანტინო ობიექტებად გამოყენება. ჰონგ-კონგში საკარანტინო ღონისძიებების აღსრულების მიზნით მარტის შუა რიცხვებიდან გამოიყენება ელექტრონული სამაჯურები (Cheng et al., 2020, Cowling & Lim, 2020, Beaubien, 2020, Saiidi, 2020).
- ტაივანში ჩინეთიდან რეისები დაუყოვნებლივ არ გაუქმებულა, თუმცა შემოღებულ იქნა მგზავრობის სკრინინგი. ქვეყანაში ძირითადად გამოიყენებოდა კარანტინი სახლის პირობებში. ცალკეულ პირებზე მეთვალყურეობა ხორციელდებოდა მობილური ტელეფონების მეშვეობით. მთავრობამ მობილური ტელეფონები გადასცა მათ, ვისაც ეს ესაჭიროებოდა, იმის უზრუნველსაყოფად, რომ ინკუბაციური პერიოდის განმავლობაში



COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

ადამიანები დარჩენილიყვენ სახლში გამოკეტილები. ამოქმედდა უფასო ცხელი ხაზის ნომრები, რომლებზეც ადამიანები ახდენდნენ საკუთარი ან სხვა ადამიანების ინფიცირების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. წესების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო ორგანოებმა შემოიღეს იძულების მკაცრი ღონისძიებები, მათ შორის ჯარიმები 33,000 აშშ დოლარის ოდენობამდე (Wang et al., 2020; Barron, 2020).

- სამხრეთ კორეამ ეპიდემიოლოგიური კონტაქტების მოძიების მიზნით გამოიყენა ახალი მეთოდები, მათ შორის სამედიცინო დანესებულებების დოკუმენტაციის შემოწმება, ტელეფონების ბაზაზე არსებული გლობალური პოზიციონირების სისტემა (GPS), საბარათე ტრანსაქციების ისტორია და ვიდეო სამეთვალყურეო სისტემები. კონტაქტების კვლევის შედეგად მიღებულ იქნა ბუსტი ინფორმაცია ექსპოზიციის ადგილის, ხანგრძლივობისა და დეტალური გარემოებების შესახებ, რამაც შეამცირა პაციენტის მარშრუტის გამორჩენილი მონაკვეთების რაოდენობა, რომლებიც გახსენების ან დათანხმების სისტემატური შეცდომებით იყო განპირობებული. უკანასკნელ დღეებში განვითარებული მდგომარეობის საპასუხოდ სამხრეთ კორეამ გაამკაცრა კონტროლი აშშ-დან შემოსულ მგზავრებზე, როგორცაა ყველა მგზავრის ტესტირება და უარყოფითების მოთავსება 14 დღიან თვით-იზოლაციაში. (COVID-19 National Emergency Response Center Epidemiology & Case Management Team KCDC, 2020; Parodi et al., n.d.)
- ოთხივე ქვეყანამ გააძლიერა ლაბორატორიული ზედამხედველობა შემთხვევათა ფართო გამოვლენის მიზნით. ჰონგ-კონგში თავდაპირველად კვლევა უტარდებოდა პნევმონიის მქონე პაციენტებს, რომლებიც არ იყვნენ ლაბორატორიულად დიაგნოსტირებული. შემდგომ კვლევებით მოცული იქნა პნევმონიის მქონე ყველა ჰოსპიტალიზებული პაციენტი, ასევე - ამბულატორიული პაციენტებისა და გადაუდებელი დახმარების განყოფილებებში მოხვედრილი პირების მიზანმიმართულად შერჩეული პროცენტული რაოდენობა. მთლიანობაში ერთი დღე-ღამის განმავლობაში ტესტირება უტარდებოდა დაახლოებით 1500 ადამიანს (Legido-Quigley et al., 2020).
- ჩინეთში ახალი ვირუსის გამოვლენიდან მესამე დღიდან სინგაპურის ჯანდაცვის სამინისტრომ მეთვალყურეობა დაწესდა საავადმყოფოებსა და პირველადი ჯანდაცვის რგოლში პნევმონიის შემთხვევებზე, ინტენსიური თერაპიის განყოფილებაში მოთავსებულ მძიმე ავადმყოფებსა და სავარაუდო ინფექციური პათოლოგიით გარდაცვალების შემთხვევებზე, ასევე - პირველადი ჯანდაცვის სენტინელურ (საყრდენ) სადგურებში რეგისტრირებული გრიპისმაგვარი დაავადების შემთხვევებზე. ექიმებს ასევე მიეცათ საშუალება, გამოეკვლიათ პაციენტები, რომელთაც ისინი კლინიკური ნიშნების ან ეპიდემიოლოგიური მიზეზების გამო საეჭვოდ მიიჩნევდნენ. ტაივანში ტესტირება უტარდებოდათ მძიმე რესპირატორული სინდრომის მქონე პაციენტებს, რომელთა ლაბორატორიული გამოკვლევის პასუხი გრიპის ვირუსზე იყო უარყოფითი.

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

→ თავის მხრივ, სამხრეთ კორეამ გამოიყენა განსხვავებული მიდგომა და ქალაქების ჩაკეტვის ნაცვლად წამოიწყო მოქალაქეთა მასიური უფასო ტესტირება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდა პაციენტთა ადრეული გამოვლენა და მათი კარანტინში მოთავსება. ტესტირების მიმართ შემოქმედებითი მიდგომა გამოიხატა, მათ შორის, ქვეყნის მასშტაბით ავტომატურიდან ჩამოუსვლელად მომსახურების (აღამიანთა ტესტირება მათსავე ავტომატურად) 50 სადგურის გახსნაში, სადაც მთლიანი პროცედურის გავლას მხოლოდ 10 წუთი ესაჭიროება. ტესტირების შედეგები ხელმისაწვდომი ხდება რამდენიმე საათში. ქვეყანაში არსებობს სიმძლავრეები, რათა კერძო ლაბორატორიების აქტიური ჩართულობით, რომელთა წილიც ქვეყნის ლაბორატორიულ სიმძლავრეთა 90%-ს შეადგენს, დღე-ღამის განმავლობაში დამუშავდეს 15000-მდე დიაგნოსტიკური ტესტირების შედეგი. საერთო ჯამში, ჩატარდა 200000 ლაბორატორიული გამოკვლევა, რის შედეგადაც დადასტურებულ შემთხვევათა რიცხოვნება აღმოჩნდა რიგით მესამე ადგილზე ჩინეთისა და იტალიის შემდეგ (Bicker, 2020; Kuhn, 2020; Park & Power, 2020).

**სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება და საზოგადოებრივი  
ჯანდაცვის ღონისძიებები**

- სინგაპურში არ დაიხურა სკოლები და არ გატარდა სოციალური დისტანცირების სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა მტკიცებულებები მოსახლეობაში ვირუსის ინტენსიური გადაცემის თაობაზე (Lee, Chiew, & Khong, 2020). დაიხურა მხოლოდ მასობრივი თავშეყრის ადგილები.
- ტაივანში (24 იანვრიდან 23 მარტის პერიოდში) სკოლების მუშაობა შეჩერდა გარკვეული ვადით, შემდეგ კი - ისევ განახლდა. მასობრივი ღონისძიებების ორგანიზატორებს მოუწოდებდნენ, რათა მათ გადაეღოთ ან გაეუქმებინათ ეს ღონისძიებები; მსახურება შეაჩერეს ცალკეულმა რელიგიურმა დაწესებულებებმა.
- სამხრეთ კორეაში გატარდა შედარებით რბილი პოლიტიკა, რაც გულისხმობდა აღამიანთა ნებაყოფლობით იზოლაციას და ეპიდსაწინააღმდეგო ზომების შესახებ მოქალაქეთა პრაქტიკულად რეალური დროის რეჟიმში ინფორმირებას (Strother, 2020). მსხვილი შენობების შესასვლელებში განთავსდა სკანერები ტემპერატურის კონტროლისთვის, ლიფტებში განთავსდა ხელის სადემინფექციო საშუალებები. მეტროსადგურების შესასვლელებთან სპეცტანსაცმელში გამოწყობილი პირები ახსენებდნენ აღამიანებს, რომ საჭიროა ხელების დაბანა.
- ჰონგ-კონგმა ასევე განახორციელა მასშტაბური ღონისძიებები სოციალური დისტანცირების წასახალისებლად. საჯარო მოხელეების დიდმა რაოდენობამ მიიღო შეთავაზება, ემუშავათ სახლიდან შემდეგი თვის განმავლობაში. მასობრივი ღონისძიებების უმეტესობა გაუქმდა ან გადაიდო. ყველა საბავშვო ბაღი და სკოლა დაიკეტა გვიან აპრილამდე (2020 წლის 20 აპრილი).

## ეფექტური კომუნიკაცია

- ოთხივე ეს ქვეყანა ცდილობდა, ყოველდღიურად მიეწოდებინა დროული, გამჭვირვალე და ზუსტი ინფორმაცია. ჯანდაცვის სამინისტროები უზრუნველყოფდნენ განახლებული ცნობების ყოველდღიურ მიწოდებას და პრეს-კონფერენციების მონაცემებს ექსპერტებისა და ჯანდაცვის სექტორის სხვა წარმომადგენლების მონაწილეობით.
- ვინაიდან კომუნიკაციის ტრადიციული სტრატეგიები არ იყო საკმარისი, ქვეყნებმა გამოიყენეს კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალება (სოციალური მედია, ბეჭდური მედია, პლაკატები და ვიდეორგოლები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) მოსახლეობის დროული ინფორმირებისა და პროფილაქტიკის სტრატეგიების შესახებ რჩევების მისაცემად. განცხადებები მოიცავდა შეტყობინებებს ხელების რეგულარულად დაბანის შესახებ, თუ როდის, სად და როგორ უნდა ხდებოდეს ნიღბების გამოყენება, ასევე იმ საფრთხესთან დაკავშირებით, რომელიც უკავშირდება ნიღბების დასაწყობებას, რომ ისინი შესაძლოა გახდეს დეფიციტური პაციენტებთან პირდაპირ შეხებაში მყოფი სამედიცინო მუშაკებისათვის.
- სამხრეთ კორეის ცალკეულ რაიონებში COVID-19-ის შემთხვევების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირებისათვის გამოყენებულ იქნა განგაშის სისტემა. შეტყობინებებში ხდებოდა იმ ადგილების იდენტიფიცირება, სადაც პაციენტი დიაგნოზის დასამადღე იმყოფებოდა, შესაბამისი დროის მითითებით. ვრცელდებოდა მონობა, რომ ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლოა შეხებაში ყოფილიყო ამ პაციენტთან, ჩაეტარებინა დაუყოვნებელი ტესტირება.
- სინგაპურში ეპიდემიური განგაშის დონის აწევის შესახებ საჯარო განცხადებამ მოსახლეობაში გამოიწვია პანიკა, რომლის ეფექტური მართვა მოხდა პრემიერ მინისტრის უშუალო ჩართულობით. ტაივანში მოსახლეობასთან კომუნიკაციაში პირადად იყო ჩართული ქვეყნის ვიცე პრეზიდენტი, რომელიც გამოჩენილი ეპიდემიოლოგია (Wang et al., 2020) (Piper, 2020) Wong et al., 2020, Lee, Chiew, & Khong, 2020).

## ეკონომიკური პასუხი

- სინგაპურში სახელმწიფო თვითდასაქმებულ პირებს ან დამსაქმებელს, თუ პაციენტი სახელფასო მასთან სახელფასო ანაზღაურებას ღებულობს, სთავაზობს დღეში 100 სინგაპურულ დოლარს (73 აშშ დოლარი), ხოლო დამსაქმებლებს ეკრძალებათ საკარანტინო ღირებულების ხარჯზე პერსონალის ყოველწლიური შვებულების შემცირება. ტაივანის ეპიდემიის მართვის ცენტრმა აქტიური როლი შეასრულა რესურსების გადანაწილებაში, მათ შორის ნიღბების ფასის დაფიქსირებასა და ნიღბების წარმოების გაზრდის მიზნით სახელმწიფო სახსრებისა და სამხედრო პერსონალის გამოყენებაში. სამხრეთ კორეის ლიდერმა დადო პირობა, რომ ქვეყანაში არსებული კრიზისის გადასალახად 25 მილიარდი დოლარი იქნება გამოყოფილი.

## ჯანდაცვის სისტემის მზადყოფნა

### სამედიცინო პირების უსაფრთხოება

- ინფექციის კონტროლის ღონისძიებები
  - ზედა სასუნთქი გზების მხრივ სიმპტომების მქონე სამედიცინო პერსონალის სამუშაოზე არდაშვება მაშინაც კი, თუ მათ ცხელება არ აღენიშნებათ (Klompas, 2020).
  - საავადმყოფოებში ხელების სანიტარული დამუშავების წესების დაცვის რეგულარული შეფასება;
  - კლინიკის ტერიტორიაზე მყოფი თითოეული სამედიცინო მუშაკის, პაციენტის და ვიზიტორის ქირურგიული ნიღბით უზრუნველყოფა;
  - პაციენტებს შორის სულ მცირე 1 მეტრიანი დისტანციის დაცვის უზრუნველყოფა.
- წინა ხაზზე მომუშავე სამედიცინო პერსონალის დაცვა
- უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები ზედა სასუნთქი გზების მდგომარეობის მართვაში ჩართული ინტენსიური თერაპიის ბლოკის თანამშრომლებისათვის მომუშავე პერსონალის
  - ბოქსირებული პალატების გამოყენება
  - ბოქსირებული პალატების არქონის შემთხვევაში არაინვაზიური ვენტილაციისა და მაღალი წნევით ოქსიგენაციისაგან თავის შეკავება (47). ეს ახდენს გავლენას ფილტვების ხელოვნური ვენტილაციის აპარატების საჭირო რაოდენობაზე, რაც უნდა იყოს გათვალისწინებული ამ აპარატების საჭირო რაოდენობის გაანგარიშებისას.

### ტრიაჟი

- ჩინეთის მაგალითი (იხ. დანართი 3)
  - უფასო ონლაინ კლინიკა, რომელიც მუშაობდა 24 საათის განმავლობაში პაციენტთა ტრიაჟის მხარდასაჭერად. უფასო ონლაინ კონსულტაციის მეშვეობით, საავადმყოფო ახდენდა გადაუდებელი მკურნალობის აუცილებლობის წინასწარ შეფასებას, ურჩევდა გეგმიურ პაციენტებს, გადაედოთ საავადმყოფოში ვიზიტი ან მიემართათ სხვა არაეპიდემიური პროფილის საავადმყოფოებისთვის, უტარებდა ინსტრუქტაჟს თვითიზოლაციაში მყოფ ნაკლებად საეჭვო პაციენტებს და სთხოვდა დაავადებაზე მეტად საეჭვო პაციენტებს, მიემართათ განსაზღვრული საავადმყოფოსათვის. ონლაინ კლინიკამ ეფექტურად უზრუნველყო საავადმყოფოს დატვირთვის შემცირება და ხელი შეუწყო შესაძლო შემთხვევების ადრეულ გამოვლენას. (ჩინეთი).
  - გადაუდებელი დახმარების განყოფილების პერსონალი ახდენდა შემოსული კონტინგენტის ტრიაჟს დაავადებაზე მეტად საეჭვო, ნაკლებად საეჭვო და სხვა პროფილის პაციენტებად და აძლევდა

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

მითითებებს სხვადასხვა კატეგორიის პაციენტებს, დაეცვათ სპეციალური წესები გადაუდებელი დახმარების განყოფილებაში შესვლის და განყოფილების შიდა სივრცის მაღალი და დაბალი რისკის ზონებად დაყოფისათვის. საექვო პაციენტებისათვის საავადმყოფოში გამოიყო დამოუკიდებელი ცხელებითი კლინიკის პალატები, ცხელებითი ობსერვაციული პალატები და კომპიუტერული ტომოგრაფიით გამოსაკვლევი პაციენტების პალატები. რაოდენობრივი რევერსული ტრანსკრიპციის პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (QRT-PCR) და / ან კომპიუტერული ტომოგრაფიით დადასტურებული დიაგნოზის მქონე პაციენტები თავსდებოდნენ საკარანტინო პალატაში, ხოლო პაციენტები, ვისთანაც ხდებოდა დაავადების გამორიცხვა, გადაჰყავდათ სხვა განყოფილებაში ან ისინი ეწერებოდნენ ბინაზე. გადაუდებელი დახმარების განყოფილების ზონებად დაყოფისა და ტრიაჟის სისტემამ შეამცირა ინფექციის ჯვარედინი გადაცემა, როგორც პაციენტების, ისე გადაუდებელი დახმარების განყოფილების პერსონალის საქმიანობის არეალის შეზღუდვის მეშვეობით.

- გადაუდებელი დახმარების განყოფილების საჭიროებებს მიენიჭა ყველაზე მაღალი პრიორიტეტი. საავადმყოფომ მოახდინა მართვის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, დანერგა კოორდინირების ეფექტური მექანიზმები, გადაუდებელი დახმარების განყოფილება უპირატესი წესით მოამარაგა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებითა და სამედიცინო მოწყობილობებით, განახორციელა გადაუდებელი დახმარების განყოფილების ტრიაჟისა და მაღალი რისკის ზონის სამედიცინო პერსონალის ინდივიდუალური დაცვის სტანდარტული საშუალებებით აღჭურვა, გააუქმა ან გადადო პაციენტთა გვემიური ვიზიტები და ოპერაციები და გადაუდებელი დახმარების განყოფილებას მიამაგრა საავადმყოფოს სხვა განყოფილებების დამხმარე პერსონალი. ამ ზომების მეშვეობით მოხერხდა საავადმყოფოს მეშვეობით მიწოდებული შეზღუდული მარაგების იმ თანამშრომლებზე კონცენტრირება, რომლებიც ყველაზე მეტად საჭიროებდნენ დაცვას.
- სხვა მაგალითები
  - 24 საათიან რეჟიმში მომუშავე ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება პაციენტთა კონსულტირება დაავადების მართვის საკითხებში, მაღალი რისკის მქონე პაციენტების იდენტიფიცირება და წინასწარ განსაზღვრულ სამედიცინო დანერგულებებში რეფერალი (სამხრეთ კორეა);
  - უსიმპტომო ან მსუბუქი ფორმით მიმდინარე დაავადების მქონე პირების თვითკარანტინში მოთავსება და სმარტფონის აპლიკაციის ან რეგულარული სატელეფონო ზარების მეშვეობით მათი დისტანციური მონიტორინგი / კონტროლი (სამხრეთ კორეა);

COVID-19 ეპიდემია საქართველოში  
პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

- მსუბუქი ფორმით მიმდინარე დაავადების მქონე პირების რეზიდენტულ ცენტრებში ან ბინაზე მკურნალობა სტაციონარული საწოლის გათავისუფლებამდე. სტაციონარული საწოლის გათავისუფლების შემთხვევაში სასწრაფო დახმარების ბრიგადის მიერ დაავადებული პირის გადაყვანა ბოქსირებული პალატების მქონე სტაციონარში (სამხრეთ კორეა);
- 1) ყველა ვიზიტორის სკრინინგი რესპირატორულ სიმპტომებზე, რომლებიც შეიძლება უკავშირდებოდეს ვირუსულ ინფექციას, როგორცაა, მათ შორის, ცხელება, მიაღვია, თარინგიტი, რინორეა და ხველა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოსწორებამდე მათი ვიზიტის გამორიცხვა; 2) ჯანდაცვის მუშაკთა მუშაობის შეზღუდვა, თუ მათ აქვთ რაიმე ზედა სასუნთქი გზების დაავადების სიმპტომები, თუნდაც ცხელების არარსებობის შემთხვევაში; და 3) სკრინინგის ჩატარება ყველა პაციენტში, პაციენტებში, რომლებსაც აქვთ დადებითი სკრინინგის შედეგი, მიუხედავად დაავადების სიმძიმისა, სიფრთხილის ზომების გამოყენება (ერთჯერადი ოთახი, უსაფრთხოების ზომების დაცვა, წვეთოვანი გზით ინფექციის გადაცემის სიფრთხილის ზომები და თვალის დაცვა) და პაციენტებში, რომლებსაც აქვთ რესპირატორული სინდრომი ტესტის შედეგის მიუხედავად. (Klompas, 2020)

### ეკონომიკური პრობლემები

ეპიდემიის შეკავების ღონისძიებების გატარება ეკონომიკურ ტვირთის წარმოქმნასთან არის ასოცირებული. ჩინეთისა, სამხრეთ კორეისა და ტაივანის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მოკლევადიან პერიოდში ეპიდემიის შეკავება შესაძლებელია. დრო აჩვენებს, თუ რამდენად არის შესაძლებელი მისი შეკავება გრძელვადიან პერიოდში. (Ferguson et al., 2020; Scott, 2020).

## დისკუსია

COVID-19 ეპიდემია მოითხოვს სხვადასხვა ეპიდსაინანაღმდევო ღონისძიების კომბინაციას. ჩინეთის ეპიდემიის გამოცდილებიდან გამომდინარე, ჯანმო-ს მიერ დადგენილია ზომები, რომელთა ეფექტურობაც COVID-19 გადაცემის შეწყვეტის ან მინიმუმამდე დაყვანის თვალსაზრისით დადასტურებულია. ეს ზომები მოიცავს პროაქტიულ ეპიდემიოლოგიურ ზედამხედველობას შემთხვევათა დაუყოვნებლივი გამოვლენისთვის, უსწრაფესი დიაგნოსტიკის, გადაუდებელი იზოლაციის, ახლო კონტაქტების საფუძვლიანი მოძიებისა და კარანტინში მოთავსების და მოსახლეობის მიერ ამ ზომების განსაკუთრებულად კარგად გააზრებისა და მიმღებლობის უზრუნველყოფას (WHO, 2020f). ეს რეკომენდაციები გამოქვეყნდა 2020 წლის თებერვლის მიწურულს, თუმცა ჩვენთვის საინტერესო ქვეყნებმა ეს ზომები, ცალკეული ვარიაციებით, ეპიდემიის ადრეული სტადიიდან გაატარეს.

მოსახლეობის განათლება და მასთან აქტიური კომუნიკაცია რისკების თაობაზე ინფორმირებითა და საზოგადოების მონაწილეობით, – ეს ერთ ერთი გადამწყვეტი ზომაა, რომელიც ეპიდემიის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე უნდა ხორციელდებოდეს (WHO, 2020b). ოთხივე ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს ცენტრალურ დონეზე მართულ და მკაცრად კოორდინირებულ საქმიანობას, წარმატებით იყენებს სარწმუნო და გამჭვირვალე ინფორმაციას, ასევე – ახალ ტექნოლოგიებსა და სხვადასხვა საკომუნიკაციო საშუალებას. ამ ძალისხმევამ ხელი შეუწყო დემინფორმაციის შემცირებას, ყალბი ცნობების ზეგავლენის შესუსტებას და მოსახლეობაში ნდობის გაჩენას (Barron, 2020)

ცალკეული ეპიდსაინანაღმდევო ღონისძიების ეფექტურობა შესაძლოა არ აღმოჩნდეს საკმარისი ეპიდემიასთან შედეგიანად საბრძოლველად. მაგ. ჰელველმა და თანაავტორებმა დაადგინეს, რომ კონტაქტების მოძიება და იზოლირება შესაძლოა არ იყოს ეფექტური COVID-19 ეპიდემიების შესაკავებლად, თუ არ იქნა მიღწეული კონტაქტების გამოვლენის ძალზე მაღალი მაჩვენებელი (70%-ზე მეტი). იმავდროულად, ამ ზომების ადეკვატურობის შემთხვევაში მათ შეიძლება მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ეპიდემიების საერთო მასშტაბის შემცირებასა და მის გაკონტროლებაში (Hellewell et al., 2020), ამის მსგავსად, კიდევ ერთი ავტორი მიუთითებს, რომ კონტაქტების მოძიება შესაძლოა აღმოჩნდეს წარმატებული სტრატეგია ეპიდემიების ადრეულ ეტაპზე (Anderson et al., 2020). სამხრეთ კორეის ეპიდემიის ოთხი ძირითადი კლასტერის ანალიზმა აჩვენა, რომ სოციალური დისტანცირების ღონისძიებების ადრეული გატარება ეპიდემიის შეკავების ეფექტურ საშუალებას განეკუთვნება (Shim et al., 2020).

სოციალური (ფიზიკური) დისტანცირება, როგორც ეპიდემიის შეკავების საკვანძო ღონისძიება, ცალკეული ვარიაციებით სწრაფად იქნა შემოღებული ოთხივე ქვეყანაში: სინგაპურში, ჰონგ-კონგში, ტაივანსა და სამხრეთ კორეაში.

ჯანმო სოციალურ დისტანცირებას გამოყოფს, როგორც ეპიდემიის პროფილაქტიკისა და კონტროლის საკვანძო ღონისძიებას, თუმცა აღიარებს, რომ აუცილებელია შემდგომი კვლევა მისი ეფექტის გაზომვისათვის (WHO, 2020f).

## COVID-19 ეპიდემია საქართველოში პროგნოზი და პოლიტიკის შეთავაზებები

ჩინეთის ეპიდემიის მაგალითზე ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სოციალური დისტანცირების ზომები ეპიდემიის ადრეულ ეტაპზე ვირუსის გადაცემას 60%-ით ამცირებს (Anderson et al., 2020). ერთ-ერთმა ბოლო კვლევამ (Zhang et al., 2020) აჩვენა, რომ უჰანსა და შანხაიში COVID-19-თან დაკავშირებით შემოღებული სოციალური დისტანცირების ღონისძიებების მოქმედების დროს ყოველდღიური კონტაქტების რაოდენობა 7-9-ჯერ იყო შემცირებული და ძირითადად ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობით შემოიფარგლებოდა. ამ კვლევით დადგინდა, რომ სოციალური დისტანცირება, როგორც ერთადერთი ეპიდსაინანაღმდეგო ღონისძიება, საკმარისი აღმოჩნდა ამ ორ ქალაქში COVID-19 ეპიდემიის კონტროლისათვის, თუმცა სხვა პირობებში შესაძლოა ეს ასე არ იყოს ადგილობრივი სპეციფიკისა და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით (Zhang et al., 2020). ლიტერატურა მიუთითებს, რომ ძალზედ დიდია გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად ეფექტურია სოციალური დისტანცირების სტრატეგია ცალკეულ სიტუაციებში, თუ რამდენი ხნის განმავლობაში შეიძლება იგი იყოს ეფექტური და თუ რა ხარისხში არის შესაძლებელი მოსახლეობის მიერ საკუთარი ქცევის ერთბაშად შეცვლა. (Ferguson et al., 2020). უფრო მეტიც, როგორც ეს ჩინეთისა და სამხრეთ კორეის გამოცდილებამ ცხადყო, ამ პოლიტიკის გატარება უდიდეს ეკონომიკურ ხარჯს მოითხოვს (Ferguson et al., 2020; Scott, 2020).

